

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსთა

საგამოცდო ტესტები

გარემოს დაცვის საკითხები

1. სად არის განთავსებული დედამიწისათვის სასიცოცხლო ოზონის შრე?
 - a. ტროპოსფეროში (დედამიწიდან 15კმ-მდე)
 - b. სტრატოსფეროში (დედამიწიდან 15 - 60კმ-ზე)
 - c. მეზოსფეროში (დედამიწიდან 60კმ-ზე მაღლა)
 - d. ყველა შრეში
2. რა ტიპის რადიაციას შთანთქავს და ირეკლავს ოზონის შრე და არ ატარებს დედამიწის ზედაპირამდე?
 - a. ულტრაიისფერ (უი) B და C რადიაციას
 - b. რენტგენის გამოსხივებას
 - c. ინფრაწითელ რადიაციას
 - d. გამა-გამოსხივებას
3. დედამიწის ატმოსფეროს რომელ შრეში ავლენს ოზონი სათბური გაზის თვისებას და განიხილება როგორც დამაბინძურებელი?
 - a. ტროპოსფეროში (დედამიწიდან 15კმ-მდე)
 - b. სტრატოსფეროში (დედამიწიდან 15 - 60კმ-ზე)
 - c. მეზოსფეროში (დედამიწიდან 60კმ-ზე მაღლა)
 - d. იონოსფეროში (დედამიწიდან 85კმ-ზე მაღლა)
4. რომელი კონტინენტის თავზე აქვს ადგილი ოზონის შრის ყველაზე ძლიერ პერიოდულ გაიშვიათებას?
 - a. ევროპის
 - b. ჩრდილო ამერიკის
 - c. ავსტრალიის
 - d. ანტარქტიდის

5. რა იწვევს ატმოსფეროში ოზონის შრის დაშლას?
- ნახშირორჟანგი
 - ამიაკი და ნახშირწყალბადები (პროპანი, იზობუტანი და სხვ.)
 - ხელოვნური ქიმიკატები, რომლებიც შეიცავენ ჰალოგენებს (მაგ. ქლორს)
 - ყველა ჩამოთვლილი
6. რა მახასიათებლის გამო აზიანებენ ოზონის შრეს ხელოვნური მაცივარაგენტები
- არიან ქიმიურად ძალიან აქტიური ნივთიერებები
 - გააჩნიათ ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა
 - არიან ჰაერზე მსუბუქი და სწრაფად ადიან სტრატოსფეროში
 - არცერთი პასუხი არ არის სწორი
7. ჩამოთვლილთაგან რომელი ჯგუფის მაცივარაგენტებს გააჩნია ყველაზე დიდი ოზონის დაშლის პოტენციალი?
- ქფნ-ებს
 - წქფნ-ებს
 - წფნ-ებს
 - ყველას გააჩნია თანაბარი ოზონის დაშლის პოტენციალი
8. ჩამოთვლილთაგან რომელ მაცივარაგენტს გააჩნია ნულოვანი ოზონის დაშლის პოტენციალი?
- R12
 - R22
 - R502
 - R717 (ამიაკი)
9. ჩამოთვლილთაგან რომელი კოეფიციენტი აღნიშნავს მაცივარაგენტის სრულ ზემოქმედებას კლიმატის ცვლილებაზე?
- HGWP
 - TEWI

- c. ODP
 - d. GWP
10. სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორის გარდა სად გამიყენება ოზონდამშლელი ნივთიერებები?
- a. სოფლის მეურნეობაში
 - b. ცეცხლმაქრობებში
 - c. გამხსნელების სექტორში
 - d. ყველა ჩამოთვლილში
11. რომელი სექტორია საქართველოში ოდნ-ების ყველაზე დიდი მომხმარებელი?
- a. სოფლის მეურნეობა
 - b. სახანძრო უსაფრთხოება
 - c. სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების
 - d. სექტორი
 - d. გამხსნელების სექტორი
12. რა კატეგორიაა მანრეალის ოქმის მე-5 მუხლის ქვეყნები, რომელსაც მიეკუთვნება საქართველო?
- a. განვითარებადი ქვეყნები, რომლებშიც კონტროლირებადი ნივთიერებების მოხმარება მონრეალის ოქმთან მიერთების დროს არ აღემატებოდა 0.3კგ-ს ერთ სულ მოსახლეზე
 - b. ყველა განვითარებადი ქვეყანა
 - c. ყველა განვითარებული ქვეყანა
 - d. ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ კონტროლირებადი ნივთიერებების საკუთარი წარმოება
13. რამდენი პროცენტით უნდა შემცირდეს R22-ის მოხმარება საქართველოში 2020 წლისათვის?
- a. 10%-ით
 - b. 35%-ით
 - c. 50%-ით
 - d. 75%-ით

14. რომელ წელს უნდა შეწყდეს სრულად ახალი R22-ის მოხმარება საქართველოში?
- 2025 წ.
 - 2030 წ.
 - 2040 წ.**
 - 2050 წ.
15. მონრეალის ოქმი წარმოადგენს:
- კანადაში მოქცევის დასაშვები და აკრძალული წესების ჩამონათვალს
 - მაცივარაგენტებთან მუშაობის წესების ჩამონათვალს
 - ოზონდამზღვევი ნივთიერებების წარმოებისა და გამოყენების რეგულირების საერთაშორისო შეთანხმებას**
 - შეერთებული შტატების მიერ გაწეული ჰუმანიტარული საკვები პროდუქტის განაწილების რეგულირებას
16. რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს ადამიანებში უი-რადიაციის სიჭარბემ?
- თვალის კატარაქტი
 - კანის კიბო
 - იმუნური სისტემის დაქვეითება
 - ყველა ჩამოთვლილი**
17. დედამიწის პირობებში ოზონის შრის დაშლის ყველაზე ძლიერი პოტენციალის მქონე ქვანახშირის სიცოცხლის ხანგრძლივობაა:
- 100-150 წელი
 - 50-100 წელი**
 - 25-50 წელი
 - 10-25 წელი
18. რა ჯგუფის მაცივარაგენტების წარმოებისა და გამოყენების ეტაპობრივ შემცირებას განსაზღვრავს მონრეალის ოქმის კიგალის დანართი?
- წვნილების**

- b. ქვნი-ების
 - c. წქვნი-ების
 - d. ბუნებრივი მაცივარაგენტების
19. მონრეალის ოქმის კიგალის დანართის მიხედვით რომელ წლებში უნდა შესრულდეს წვნი-ების მოხმარების გაყინვა საბაზო დონეზე საქართველოში?
- a. 2017-2020 წ.წ.
 - b. 2020-2022 წ.წ.
 - c. 2022-2024 წ.წ.
 - d. **2024-2028 წ.წ.**
20. როგორ დადგინდება წვნი-ების მოხმარების საბაზო დონე საქართველოსთვის?
- a. 2018-2020 წ.წ . მოხმარების საშუალო არითმეტიკულით
 - b. **2020-2022 წ.წ . მოხმარების საშუალო არითმეტიკულით**
 - c. 2021-2023 წ.წ . მოხმარების საშუალო არითმეტიკულით
 - d. 2022-2024 წ.წ . მოხმარების საშუალო არითმეტიკულით
21. საქართველოს კანონმდებლობით რა ვადით მიეცემა შესაბამისი სერტიფიკატი ტექნიკოსს, რომელიც ემსახურება ჰაერის კონდიციონერებს, სამაცივრო მოწყობილობებს და თბურ ტუმბოებს?
- a. 1 წლით
 - b. 2 წლით
 - c. **3 წლით**
 - d. 5 წლით
22. საქართველოს კანონმდებლობით რა მინიმალური რაოდენობის მაცივარაგენტის შემცველ სატაციონარულ მოწყობილობის მფლობელს ეკისრება ვალდებულება აწარმოოს სარეგისტრაციო ჟურნალი მაცივარაგენტების მოხმარებაზე?
- a. **3კგ**
 - b. 5კგ
 - c. 10კგ
 - d. 50კგ

23. საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების სფეროებია:

- a. ოზონის შრის დაცვა
- b. სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორის რეგულირება
- c. ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტ-ექსპორტის რეგულირება
- d. ყველა ჩამოთვლილი

24. ვინ არის ვალდებული შესაბამის უწყებას წარუდგინოს ინფორმაცია გასულ წელს მოხმარებული მაცივარაგენტების რაოდენობის შესახებ?

- a. 3 კგ ან 3 კგ-ზე ნაკლებ მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელი
- b. 3 კგ ან 3 კგ-ზე ნაკლებ მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელი, აგრეთვე ტექნიკოსი
- c. ტექნიკოსი
- d. 3 კგ ან 3 კგ-ზე მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელი, აგრეთვე ტექნიკოსი

25. რამდენი ლარით ჯარიმდება მაცივარაგენტების წლიური მოხმარების შესახებ მონაცემების დადგენილი ფორმით ან დადგენილ ვადაში წარუდგენლობა?

- a. 100
- b. 150
- c. 300
- d. 400

26. ვის უნდა წარუდგინოს ტექნიკოსმა ინფორმაცია გასულ წელს მოხმარებული მაცივარაგენტების რაოდენობის შესახებ?

- a. სოფლის მეურნეობის სამინისტროს
- b. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
- c. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
- d. ფინანსთა სამინისტროს

27. რა სიხშირით უნდა წარუდგინოს ტექნიკოსმა შესაბამის უწყებას ინფორმაცია მოხმარებული მაცივარაგენტების რაოდენობის შესახებ?
- ყოველკვარტალურად
 - სამ წელიწადში ერთხელ
 - ყოველწლიურად
 - ყოველთვიურად
28. როდის უნდა წარუდგინოს ტექნიკოსმა შესაბამის უწყებას მაცივარაგენტების მოხმარების შესახებ ანგარიშგების შევსებული ფორმა?
- 1 თებერვლამდე
 - 1 ივლისამდე
 - 1 მარტამდე
 - 1 იანვრამდე
29. რამდენი ლარით ჯარიმდება არასერტიფიცირებული ტექნიკოსი მომსახურების გაწევის შემთხვევაში?
- 200
 - 100
 - 600
 - 400
30. რამდენი ლარით ჯარიმდება არასერტიფიცირებული ტექნიკოსი მომსახურების განმეორებით გაწევის შემთხვევაში?
- 500
 - 150
 - 200
 - 400

31. რამდენი ლარით ჯარიმდება ჟურნალის გამოუყენებლობა ან მისი დადგენილი მოთხოვნების დარღვევით წარმოება?

- a. 150
- b. 500
- c. 200
- d. 400

სსტ 70 : 2013 საქართველოს სტანდარტიდან "სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები"

32. რას ეწოდება მეორადი გაცივების ან გათბობის სისტემა?

- a. სისტემას, რომელშიც გასაცივებულ ან გასათბობ გარემოსა და სამაცივრო სისტემას შორის თბოცვლისათვის გამოიყენება დენადი თბომატარებელი
- b. სისტემას, რომელშიც გაცივება ან გათბობა სრულდება ორ ან მეტ საფეხურად
- c. კასკადურ სამაცივრო სისტემას
- d. არცერთს ჩამოთვლილთაგან

33. სსტ 70 : 2013 საქართველოს სტანდარტის "სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები" მიხედვით რას ეწოდება დაკავებული სათავსო?

- a. სათავსოს, სადაც განთავსებულია სამაცივრო სისტემის ძირითადი კომპონენტები
- b. სათავსოს, სადაც განთავსებულია ავტომატური მართვის ბლოკი
- c. სათავსოს, რომელშიც მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში იმყოფებიან ადამიანები
- d. ყველა ჩამოთვლილს

34. რა მოწყობილობაა ჰერმეტიკული კომპრესორი?
- a. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმი იხსნება საჭიროების შემთხვევაში
 - b. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმიც არ იხსნება
 - c. კომპრესორი, რომლის ჰერმეტიკულ გარსაცმიდან გამოდის ლილვის ნაწილი ელექტროძრავთან მისაერთებლად
 - d. ყველა კომპრესორი, რომლიდანაც მაცივარაგენტის გაჟონვას არა აქვს ადგილი
35. რა მოწყობილობაა ნახევრად-ჰერმეტიკული კომპრესორი?
- a. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმი იხსნება საჭიროების შემთხვევაში
 - b. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმიც არ იხსნება
 - c. კომპრესორი, რომლის ჰერმეტიკულ გარსაცმიდან გამოდის ლილვის ნაწილი ელექტროძრავთან მისაერთებლად
 - d. ყველა კომპრესორი, რომლიდანაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაცივარაგენტის გაჟონვას
36. რა მოწყობილობაა ღია კომპრესორი?
- a. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმი იხსნება საჭიროების შემთხვევაში
 - b. ერთიან გარსაცმში ჩამონტაჟებული კომპრესორი და ელექტროძრავა, რომლის გარსაცმიც არ იხსნება
 - c. კომპრესორი, რომლის ჰერმეტიკულ გარსაცმიდან გამოდის ლილვის ნაწილი ელექტროძრავთან მისაერთებლად
 - d. ყველა კომპრესორი, როდესაც მისი ჰერმეტიკულობა დარღვეულია და ადგილი აქვს მაცივარაგენტის გაჟონვას

37. რა მოწყობილობაა კონდენსატორული აგრეგატი?
- კონდენსატორისა და მისი ჰაერით ან წყლით გამაგრილებელი მოწყობილობის ერთობლიობა
 - კონდენსატორისა და სითხის რესივერის კომბინირება
 - კასკადური სისტემის კონდენსატორი, რომელიც ამავდროულად ასრულებს საორთქლებლის როლს
 - მარეგულირებელი ხელსაწყოებით აღჭურვილი ერთი ან მეტი კომპრესორის, კონდენსატორის, სითხის რესივერის (როდესაც აუცილებელია) ერთობლიობა
38. რა სახის ტესტირება უნდა ჩატარდეს სამაცივრო სისტემას მის მომსახურებაზე აყვანამდე?
- სიმტკიცეზე წნევის ტესტი
 - გაჟონვაზე ტესტი
 - დამცავი მოწყობილობის ფუნქციონირების ტესტი
 - ყველა ჩამოთვლილი
39. სსტ 70 : 2013 საქართველოს სტანდარტის "სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები" მიხედვით რა მინიმალური ხანგრძლივობის სტაჟირება უნდა ჰქონდეს გავლილი ტექნიკოსს სამაცივრო სისტემის დამოუკიდებლად მომსახურებაზე დასაშვებად?
- 1 თვე
 - 3 თვე
 - 6 თვე
 - 12 თვე

40. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მაცივარაგენტი R22?
- a. A3
 - b. **A1**
 - c. A2
 - d. B2L
41. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან მაცივარაგენტები R600a (იზობუტანი) და R290 (პროპანი)?
- a. **A3**
 - b. A1
 - c. A2L
 - d. B2
42. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მაცივარაგენტი R744 (ნახშირორჟანგი)?
- a. A3
 - b. **A1**
 - c. A2
 - d. B2L
43. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მაცივარაგენტი R717 (ამიაკი)?
- a. A1
 - b. A3
 - c. A2L
 - d. **B2**
44. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მაცივარაგენტი R1234yf?
- a. A1
 - b. A2
 - c. A3
 - d. **B2L**

45. უსაფრთხოების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მაცივარაგენტი R410A?
- A1**
 - A2L
 - A3
 - B2
46. როგორია R134a მაცივარაგენტის მაქსიმალური ჩატვირთვის ნორმა დაკავებული სათავსოს ერთეულ მოცულობაში (პრაქტიკული ნორმა)?
- 0.008კგ/მ³
 - 0.00035კგ/მ³
 - 0.25კგ/მ³**
 - 0.07კგ/მ³
47. როგორია R717-ის (ამიაკის) მაქსიმალური ჩატვირთვის ნორმა დაკავებული სათავსოს ერთეულ მოცულობაში (პრაქტიკული ნორმა)?
- 0.008კგ/მ³
 - 0.00035კგ/მ³**
 - 0.25კგ/მ³
 - 0.07კგ/მ³
48. როგორია R290-ის (პროპანის) მაქსიმალური ჩატვირთვის ნორმა დაკავებული სათავსოს ერთეულ მოცულობაში (პრაქტიკული ნორმა)?
- 0.008კგ/მ³**
 - 0.00035კგ/მ³
 - 0.25კგ/მ³
 - 0.07კგ/მ³

49. როგორია R744-ის (ნახშირორჟანგის) მაქსიმალური ჩატვირთვისნორმა დაკავებული სათავსოს ერთეულ მოცულობაში (პრაქტიკულინორმა)?
- 0.008კგ/მ³
 - 0.00035კგ/მ³
 - 0.25კგ/მ³
 - 0.07კგ/მ³**
50. რაზეა დამოკიდებული მაცივარაგენტის მაქსიმალურირაოდენობა სამაცივრო სისტემაში, როდესაც მაცივარაგენტის შემცველი ნაწილები განთავსებულია დაკავებულ სათავსოში?
- პრაქტიკულ ნორმაზე
 - აალებადობის ქვედა ზღვარზე (LFL)
 - სათავსოს მოცულობაზე
 - ყველა ჩამოთვლილზე**
51. რას უდრის მაღალი ტოქსიკურობის (კლასი B) მქონე მაცივარაგენტის ზღვრული კონცენტრაცია, რომლის მიღწევა და გადაჭარბება ავნებს ყველა მუშაკს, ვინც შეიძლება იმყოფებოდეს მისი ზემოქმედების ქვეშ ყოველდღე 8 სამუშაო საათის და 40-საათიანი სამუშაო კვირის განმავლობაში?
- 300მლ/მ³
 - 400მლ/მ³**
 - 500მლ/მ³
 - 600მლ/მ³
52. აალებადობის რომელი კლასი შეესაბამება მაღალი აალებადობის მაცივარაგენტს?
- 1
 - 2
 - 3**
 - 4

53. როგორი უნდა იყოს ჰაერის ცვლა სამანქანო და სააპარატო ოთახებში, როდესაც ისინი დაკავებული სათავსოებია?
- a. 4-ჯერადი ცვლა საათში
 - b. 3-ჯერადი ცვლა საათში
 - c. 2-ჯერადი ცვლა საათში
 - d. 1-ჯერადი ცვლა საათში
54. რას უდრის მინიმალური სხვაობა ცხელი ზედაპირის ტემპერატურასა და მასთან შეხებაში მყოფი მაცივარაგენტის თვითაალების ტემპერატურას შორის?
- a. 120C
 - b. 130C
 - c. 140C
 - d. 150C
55. A2 და A3 კლასის მაცივარაგენტის დეტექტორმა უნდა დაიწყოს ფუნქციონირება მაშინ, როდესაც ჰაერში მაცივარაგენტის კონცენტრაციის დონე მიაღწევს მისი აალებადობის ქვედა ზღვრის:
- a. 10%-ს
 - b. 20%-ს
 - c. 30%-ს
 - d. 40%-ს
56. მოწყობილობის განთავსების ადგილის ვიზუალურ ინსპექტირებისას უნდა შემოწმდეს:
- a. სამანქანო და სააპარატო ოთახების მექანიკური ვენტილაციის ვარგისიანობა
 - b. მაცივარაგენტის დეტექტორის, განგაშებისა და საავარიო განათების ვარგისიანობა
 - c. პერსონალის დამცავი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა
 - d. ყველა ჩამოთვლილი

57. გარეგანი ვიზუალური ინსპექტირების ფურცელში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
- a. მთლიანი მოწყობილობის შედარება სამაცივრო და ელექტრო სისტემების ნახაზებთან
 - b. წნევის ქვეშ მყოფ ჭურჭლებზე დოკუმენტაციის არსებობა
 - c. მიერთებების, სამაგრების, ფიქსატორების და შედუღების ადგილების ვარგისიანობა
 - d. ყველა ჩამოთვლილი
58. ამიაკის რა რაოდენობის შემცველ სამაცივრო სისტემებს უნდა ჰქონდეს ჩამკეტი არმატურა სისტემიდან რესივერების იზოლირებისათვის?
- a. 50კგ-ზე მეტი
 - b. 100კგ-ზე მეტი
 - c. 150კგ-ზე მეტი
 - d. 200კგ-ზე მეტი
59. მოწყობილობები, რომლებიც შეიცავენ 3კგ და მეტ მაცივარგენტს, გარდა ჰერმეტიული სისტემებისა, რომლებიც შეიცავენ 6კგ და ნაკლებ მაცივარგენტს, უნდა შემოწმდეს გაჟონვაზე სულ მცირე ყოველ:
- a. 3 თვეში ერთხელ
 - b. 6 თვეში ერთხელ
 - c. 9 თვეში ერთხელ
 - d. 12 თვეში ერთხელ
60. მოწყობილობები, რომლებიც შეიცავენ 30კგ და მეტ მაცივარგენტს უნდა შემოწმდეს გაჟონვაზე სულ მცირე ყოველ:
- a. 3 თვეში ერთხელ
 - b. 6 თვეში ერთხელ

- c. 9 თვეში ერთხელ
- d. 12 თვეში ერთხელ

61. მოწყობილობები, რომლებიც შეიცავენ 300კგ და მეტ მაცივარგენტს უნდა შემოწმდეს გაჟონვაზე სულ მცირე ყოველ:

- a. **3 თვეში ერთხელ**
- b. 6 თვეში ერთხელ
- c. 9 თვეში ერთხელ
- d. 12 თვეში ერთხელ

62. სამაცივრო სისტემის რეკონსტრუქციის შემდეგ აუცილებელია:

- a. ჩაიხსნას ზედმეტი მილგაყვანილობა
- b. შემოწმდეს ჩამკეტი არმატურის გამართულობა
- c. დაიხშოს მილების ღია ბოლოები
- d. **შესრულდეს ყველა ჩამოთვლილი ქმედება**

63. მაცივარაგენტის რა მინიმალური ტევადობის რესივერი უნდა აღიჭურვოს სითხის დონის მაჩვენებლით?

- a. 100კგ A1 ჯგუფის მაცივარაგენტისათვის
- b. 25კგ A2, B1, B2 ჯგუფის მაცივარაგენტისათვის
- c. 2.5კგ A3, B3 ჯგუფის მაცივარაგენტისათვის
- d. **ყველა ჩამოთვლილი**

64. რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს სამაცივრო დანადგარზე განთავსებული საიდენტიფიკაციო ფირფიტა?

- a. დამამზადებლის ან დამმონტაჟებლის დასახელებას, დანადგარის მოდელს და სერიულ ნომერს
- b. მაცივარაგენტის ტიპს და რაოდენობას

- c. დამამზადებლის ან დამმონტაჟებლის დასახელებას, დანადგარის მოდელს, დამზადების წელს და სერიულ ნომერს, მაცივარაგენტის ტიპს და რაოდენობას, მაქსიმალურად დასაშვებ წნევას მაღალ და დაბალ მხარეს
- d. დამზადების წელს
65. სამაცივრო სისტემის მონტაჟზე დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- a. მხოლოდ ინფორმაციას დამამზადებლის და დამმონტაჟებლის შესახებ
- b. დადასტურებას, რომ მონტაჟი შესრულდა პროექტის მოთხოვნის შესაბამისად და სისტემა აღჭურვილია დამცავი და საკონტროლო ხელსაწყოებით, ასევე ინფორმაციას ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ დარეგულირებაზე.
- c. ინფორმაციას დამამზადებლის და დამმონტაჟებლის შესახებ და დანადგარის ტექნიკურ მონაცემებს
- d. ექსპლუატაციის ინსტრუქციას
66. რა მოთხოვნებს უნდა უკმაყოფილებდეს სამანქანო ან საავტომობილო ოთახის კარები სსტ 70 : 2013 საქართველოს სტანდარტის "სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები" მიხედვით?
- a. უნდა გააჩნდეს ზომები საკმარისი რაოდენობის ადამიანების თავისუფლად გასასვლელად
- b. უნდა იყოს მჭიდროდ მიმაგრებული, თვითჩამკეტი და იღებოდეს ორივე მხრიდან
- c. უნდა იყოს სულ მცირე ერთ საათიანი ცეცხლგამძლე კონსტრუქციის
- d. ყველა ჩამოთვლილს

67. სად უნდა განთავსდეს მაცივარაგენტის სტაციონარული დეტექტორი?
- სათავსოს ყველაზე მაღალ წერტილში
 - სათავსოს ყველაზე დაბალ წერტილში
 - ყველაზე მაღალ წერტილში ჰაერზე მსუბუქი მაცივარაგენტის შემთხვევაში, ყველაზე დაბალ წერტილში ჰაერზე მძიმე მაცივარაგენტის შემთხვევაში
 - კომპრესორის გვერდით
68. უსაფრთხოების რომელი ჯგუფის მაცივარაგენტის გამოყენებისდროს არის აუცილებელი პერსონალისათვის დამცავი ხელთათმანებისა და სათვალის გამოყენება?
- ყველა ჯგუფის მაცივარაგენტის მისი თვისების მიუხედავად
 - B2
 - A2
 - A1 და B1
69. სისტემაში არსებულ მაცივარაგენტებთან დაკავშირებული პირველადი დახმარების აღჭურვილობა და წამლები უნდა ინახებოდეს:
- სამანქანო ოთახში
 - სამანქანო ოთახის გარედან შესასვლელთან ახლოს
 - სამაცივრო საკანში
 - საოფისე ოთახში
70. B2 ჯგუფის მაცივარაგენტიანი სამაცივრო სისტემისათვის გამოიყენება შემდეგი მოთხოვნები:
- სისტემის რესივერმა უნდა დაიტოს სამაცივრო სისტემაში ცირკულირებადი მაცივარაგენტის სრული რაოდენობა
 - მილგაყვანილობა და კოლექტორები უნდა შედუღდეს ან მიირჩილოს მილტუჩების გამოყენების გარეშე და ჩაიწყოს ბეტონის იატაკში
 - კოლექტორი და გამანაწილებელი მილები უნდა ჩალაგდეს გამოყოფილ გამანაწილებელ არხში, რომელიც იქნება შეერთებული სამანქანო ოთახთან
 - ყველა ჩამოთვლილი

71. რა ინფორმაცია უნდა იყოს მუდმივად და სიმედოდ მიმაგრებული თხევადი მაცივარაგენტის ტუმბოზე?
- დამამზადებლის დასახელება და დამზადების წელი
 - მოდელის დასახელება და სერიული ნომერი
 - საპროექტო ან მაქსიმალურად დასაშვები წნევა
 - ყველა ჩამოთვლილი**
72. ვინ უნდა განსაზღვროს მაქსიმალურად დასაშვები წნევა სამაცივრო სისტემის სხვადასხვა ნაწილისათვის?
- დამამზადებელმა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად
 - დამპროექტებელმა სამაცივრო სისტემის მიხედვით და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით**
 - მემონტაჟემ სამაცივრო სისტემის მიხედვით და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით
 - არცერთმა ჩამოთვლილთაგან
73. რაზეა დამოკიდებული მილგაყვანილობის დამაგრების მანძილი?
- მილის მასალაზე
 - მილის კვეთის ფართზე
 - მილის სიგრძეზე
 - ყველა ჩამოთვლილზე**
74. რა შემთხვევაში შეიძლება მაცივარაგენტის მილების გატარება სავენტილაციო და ჰაერის კონდიციონირების არხებში?
- არ შეიძლება არცერთ შემთხვევაში**
 - შეიძლება A1 მაცივარაგენტის შემთხვევაში
 - ყველა შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება A3 ან B3 ჯგუფის მაცივარაგენტი
 - ყველა შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება ბუნებრივი მაცივარაგენტი

75. რას ეწოდება მაცივარაგენტის ფარდობითი დანაკარგი?
- a. სისტემის დატენისას გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობის შეფარდებას სისტემაში არსებული მაცივარაგენტის სრულ რაოდენობასთან
 - b. სისტემაში რეალურად არსებული მაცივარაგენტის რაოდენობის შეფარდებას სისტემის ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ რაოდენობასთან
 - c. ერთი წლის განმავლობაში სისტემიდან გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობის შეფარდებას სისტემაში არსებული მაცივარაგენტის სრულ რაოდენობასთან
 - d. გაჩერებული სისტემიდან გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობის შეფარდებას მუშა მდგომარეობაში მყოფი სისტემიდან გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობასთან
76. როგორ მოწმდება უსაფრთხოების ვენტილი, გახეთქვის ფირფიტა და ლლობადი საცობი?
- a. მხოლოდ ვიზუალურად
 - b. ვიზუალურად და გაჟონვაზე
 - c. მაქსიმალურად დასაშვებ წნევაზე
 - d. არ საჭიროებენ შემოწმებას
77. A3 ჯგუფის მაცივარაგენტის შემცველი აღჭურვილობის შეკეთების გზამკვლევი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- a. ნორმალური ფუნქციონირების, გაშვების და გაჩერების წესებს
 - b. სისტემატური მომსახურების და შეკეთების წესებს ცალკეული ელემენტების უსაფრთხო გახსნის წესების ჩათვლით
 - c. უსაფრთხოების სისტემის და მისი ელემენტების ტესტირების წესებს
 - d. ყველა ჩამოთვლილს

78. რას ეწოდება "კონტროლირებადი ნარჩენი"?
- სისტემიდან ამოღებულ მაცივარაგენტს, ვიდრე მას ჩაუტარდება იდენტიფიკაცია
 - რეციკლირებულ მაცივარაგენტს
 - აღდგენილ მაცივარაგენტს
 - გასანადგურებელ მაცივარაგენტს
79. სამაცივრო სისტემაში ნორმის შესაბამისი რაოდენობის მაცივარაგენტის ვიზუალური ინსპექტირება შეიძლება:
- სათვალთვალო მინით
 - დონის ინდიკატორით
 - ფუნქციონირების წნევით და ტემპერატურით
 - ყველა ჩამოთვლილი
80. რა სიხშირით უნდა ჩატარდეს ფტორირებული მაცივარაგენტების სტაციონარული დეტექტორული სისტემის დაკალიბრება?
- ყოველთვიურად
 - 6 ვეში ერთხელ
 - 12 თვეში ერთხელ
 - არ საჭიროებს დაკალიბრებას
81. როდის შეიძლება სისტემიდან ამოღებული ფტორირებული მაცივარაგენტის იმავე სისტემაში გამოყენება მისი რეციკლირების გარეშე?
- მას შემდეგ, რაც სისტემაში შეიცვალა ელექტრულად დაზიანებული ჰერმეტიკული ან ნახევრად ჰერმეტიკული კომპრესორი
 - თუ გამოირიცხულია სისტემაში მჟავების, ტენის და მექანიკური დამაზინებურებლების არსებობა
 - მას შემდეგ, რაც სისტემაში შეიცვალა გამომშრობი ფილტრი
 - ყველა შემთხვევაში

თერმოდინამიკა

82. რომელი თერმოდინამიკური პარამეტრი იზომება გრადუსებში?

- a. წნევა
- b. სიმკვრივე
- c. ტემპერატურა**
- d. მოცულობა

83. რა ეწოდება სითბოს რაოდენობას, რომელიც ესაჭიროება ერთეული მასის სხეულის ერთი გრადუსით გათბობას ან გაციებას?

- a. თბოგამტარობა
- b. თბოგადაცემა
- c. თბოართმევა
- d. კუთრი თბოტევადობა**

84. რა ეწოდება დროის ერთეულში შესრულებულ მუშაობას?

- a. სიბლანტე
- b. სიხშირე
- c. სიმძლავრე**
- d. სითბო

85. რა ეწოდება სითბოს რაოდენობას, რომელსაც შთანთქავს 1კგ თხევადი მაცივარაგენტი სრულად აორთქლებისას?

- a. კუთრი სიცივემწარმოებლურობა**
- b. თბოგადაცემა
- c. თბოართმევა
- d. კუთრი თბოტევადობა

86. კრიტიკული ტემპერატურა არის ტემპერატურა

- a. რომლის ზევით ნივთიერება შეიძლება აფეთქდეს
- b. რომლის ზევით შეუძლებელია ნივთიერების გათხევადება**
- c. რომლის ქვევით ნივთიერება მხოლოდ თხევად მდგომარეობაშია
- d. რომლის ქვევით ნივთიერების მყარი და თხევადი ფაზა წონასწორობაშია

87. ნორმალური დუდილის წერტილი არის:

- a. ტემპერატურა, რომელზეც ნივთიერება დულს ატმოსფერული წნევის ქვეშ (1.01 ბარი)**
- b. მდგომარეობა, როდესაც ორთქლის ბუმტუკები ჩნდება მხოლოდ სითხის ზედაპირზე
- c. მდგომარეობა, როდესაც ორთქლის ბუმტუკები ჩნდება სითხის მთელ მოცულობაში
- d. ყველა ჩამოთვლილი

88. აბსოლუტური ტემპერატურის საზომი ერთეულია:

- a. ცელსიუსის გრადუსი
- b. ფარენგეიტის გრადუსი
- c. კელვინი**
- d. სამივე

89. როდესაც რომელიმე ნივთიერების ტემპერატურა თერმომეტრის ჩვენების მიხედვით უდრის 00C-ს, მაშინ მისი აბსოლუტური ტემპერატურაა:

- a. 125.3K
- b. 360.0K
- c. 273.15K**
- d. 80.5K

90. რას უდრის განსხვავება აბსოლუტურ და მანომეტრულ წნევებს შორის?

a. 2 ბარი

b. 1 ბარი

c. 0 ბარი

d. 0.1 ბარი

91. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი მიეკუთვნება ქფნ-ს (CFC)?

a. R12

b. R22

c. R1234yf

d. R143a

92. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი მიეკუთვნება წქფნ-ს (HCFC)?

a. R12

b. R22

c. R134a

d. R1234yf

93. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი მიეკუთვნება წფო-ს (HFO)?

a. R12

b. R1234yf

c. R134a

d. R744

94. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი მიეკუთვნება წფნ-ს (HFC)?

- a. R12
- b. R22
- c. R134a**
- d. R744

95. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი მიეკუთვნება ნახშირწყალბადებს (HC)?

- a. R134a
- b. R404A
- c. R407C
- d. R600a**

96. ჩამოთვლილთაგან რომელი ნარევი მიეკუთვნება აზეოტროპებს?

- a. R402
- b. R502**
- c. R407C
- d. R410A

97. ჩამოთვლილთაგან რომელი ნარევი მიეკუთვნება ზეოტროპებს?

- a. R404A**
- b. R500
- c. R502
- d. R507

98. რომელ ნარევს უწოდებენ სერვისულს?
- a. ყველა ზეოტროპულ ნარევს
 - b. ყველა აზეოტროპულ ნარევს
 - c. ნარევს, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს R22**
 - d. არცერთს ჩამოთვლილთაგან
99. როგორ უნდა დადგინდეს მაცივარაგენტის ტიპი?
- a. ჰალოიდური ლამპით
 - b. იდენტიფიკატორით**
 - c. ჟონვის დეტექტორით
 - d. ყველა ჩამოთვლილით
100. კაპილარულ მილში წნევის ვარდნას იწვევს:
- a. კედელთან ხახუნის ძალა
 - b. ნაკადის აჩქარება
 - c. ნაკადის მიმართულების შეცვლა
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
101. რომელი თერმოდინამიკური პროცესი მიმდინარეობს კომპრესორში?
- a. მაცივარაგენტის შეკუმშვა**
 - b. მაცივარაგენტის გადამეტხურება
 - c. მაცივარაგენტის აორთქლება
 - d. ყველა ჩამოთვლილი

102. რომელი თერმოდინამიკური პროცესი მიმდინარეობს კონდესატორში?
- a. მაცივარაგენტის შეკუმშვა
 - b. მაცივარაგენტის გათხევადება**
 - c. მაცივარაგენტის აორთქლება
 - d. არცერთი ჩამოთვლილი
103. რომელი თერმოდინამიკური პროცესი მიმდინარეობს საორთქლებელში?
- a. მაცივარაგენტის შეკუმშვა
 - b. მაცივარაგენტის გათხევადება
 - c. მაცივარაგენტის აორთქლება**
 - d. არცერთი ჩამოთვლილი
104. თუ დუღილის ტემპერატურა კლებულობს, კომპრესორის სიცივემწარმოებლურობა:
- a. იზრდება
 - b. მცირდება**
 - c. რჩება უცვლელი
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს
105. მაცივარაგენტის სიჩქარე მილში დამოკიდებულია:
- a. მაცივარაგენტის სიმკვრივეზე
 - b. მაცივარაგენტის ნაკადის ხარჯზე
 - c. მილის შიგა დიამეტრზე
 - d. ყველა ჩამოთვლილზე**

106. თუ კონდენსაციის ტემპერატურა იზრდება, კომპრესორის სიცივემწარმოებლურობა:
- a. იზრდება
 - b. მცირდება**
 - c. რჩება უცვლელი
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს
107. თუ ორთქლის გადამეტხურება ნორმალურ სიდიდეზე მეტად იზრდება, კომპრესორის სიცივემწარმოებლურობა:
- a. იზრდება
 - b. მცირდება**
 - c. რჩება უცვლელი
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს
108. კონდენსატორში გაცემული სითბო:
- a. ყოველთვის მეტია საორთქლებელში ართმეულ სითბოზე**
 - b. ყოველთვის ნაკლებია საორთქლებელში ართმეულ სითბოზე
 - c. ყოველთვის ტოლია საორთქლებელში ართმეული სითბოსი
 - d. მეტია ან ნაკლები საორთქლებელში ართმეულ სითბოზე კონდენსატორის თბოცვლის ზედაპირის მიხედვით
109. კონდენსატორში ზეოტროპული ნარევის კონდენსაცია მიმდინარეობს:
- a. ცვლად წნევაზე და ტემპერატურაზე
 - b. მუდმივ წნევაზე და ტემპერატურაზე
 - c. მუდმივ წნევაზე და ცვლად ტემპერატურაზე**
 - d. ცვლად წნევაზე და მუდმივ ტემპერატურაზე

110. ფარდობითი ტენიანობის გასაზომად გამოიყენება:
- a. მანომეტრო
 - b. ფსიქრომეტრი**
 - c. ბარომეტრო
 - d. ანემომეტრი
111. მაცივარაგენტიდან გაზობრივ დამაბინძურებლებს შთანთქავს:
- a. აქტივირებული ნახშირბადი**
 - b. აზოტი
 - c. ქლორი
 - d. წყალბადი
112. რომელი სიდიდის საზომი ერთეულია Btu/სთ?
- a. მუშაობის
 - b. სითბოს რაოდენობის
 - c. ენერჯის
 - d. სიმძლავრის**
113. სამაცივრო კონტურის რომელ წერტილში აქვს მაცივარაგენტს ყველაზე მაღალი ტემპერატურა?
- a. კომპრესორის გამოსასვლელში**
 - b. კონდენსატორის გამოსასვლელში
 - c. რესივერში
 - d. საორთქლებლის შესასვლელში

114. მუდმივი კონდენსაციის ტემპერატურის პირობებში დუღილის ტემპერატურის მატებით სამაცივრო კოეფიციენტი:
- a. იზრდება
 - b. მცირდება
 - c. რჩება უცვლელი
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს
115. რას უდრის 1 სამაცივრო ტონა (TR)?
- a. 24000Btu/სთ
 - b. 18000Btu/სთ
 - c. 3.5კვტ
 - d. 5.4კვტ
116. საორთქლებლში დაბალი წნევის თხევადი მაცივარგენტი გარდაიქმნება:
- a. მაღალი წნევის სითხედ
 - b. მაღალი წნევის ორთქლად
 - c. დაბალი წნევის სითხისა და ორთქლის ნარევად
 - d. დაბალი წნევის ორთქლად
117. R744 მაცივარაგენტი არის:
- a. უფერო
 - b. არააალებადი
 - c. არატოქსიკური
 - d. ყველა ჩამოთვლილი

118. სამაცივრო კოეფიციენტი ყოველთვის:
- a. ნაკლებია 1-ზე
 - b. მეტია 1-ზე**
 - c. ტოლია 1-ის
 - d. შეიძლება იყოს ნებისმიერი
119. ჩამოთვლილთაგან რომელი თვისება არ არის სასურველი მაცივარაგენტისთვის?
- a. კარგი ხსნადობა ზეთთან
 - b. ნორმალურ პირობებში დუდილის დაბალი ტემპერატურა
 - c. აორთქლების დიდი კუთრი სითბო
 - d. კარგი ელექტროგამტარობა**
120. როგორ მოქმედებს გადამეტცივება სამაცივრო კოეფიციენტზე?
- a. ამცირებს
 - b. ზრდის**
 - c. არ მოქმედებს
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს
121. მუდმივი დუდილის ტემპერატურის პირობებში კონდენსაციის ტემპერატურის დაწევით სამაცივრო კოეფიციენტი:
- a. იზრდება**
 - b. მცირდება
 - c. რჩება უცვლელი
 - d. სხვადასხვა მაცივარაგენტისთვის შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს

122. R717 არის:
- a. არატოქსიკური
 - b. არააალეზადი
 - c. ძალიან ტოქსიკური და აალეზადი**
 - d. ტოქსიკური და არააალეზადი
123. როგორ იცვლება ელექტროენერჯის ხარჯი, როცა დაჭირხვნის წნევა მატულობს?
- a. არ იცვლება
 - b. მცირდება
 - c. იზრდება**
 - d. დამოკიდებულია კომპრესორის ძრავის ტიპზე
124. როგორ იცვლება მაცივარაგენტის მასური ხარჯი, როცა შეწოვის წნევა მატულობს?
- a. მცირდება
 - b. იზრდება**
 - c. არ იცვლება
 - d. დამოკიდებულია მაცივარაგენტის ტიპზე
125. რა აერთიანებს სამაცივრო მოწყობილობებს, ჰაერის კონდიციონერებს და თბურ ტუმბოებს?
- a. ყველა მათგანში სრულდება შებრუნებული თერმოდინამიკური ციკლი, რომლის დროსაც სითბო გადაეცემა უფრო ცივი გარემოდან უფრო თბილს**
 - b. ყველა მათგანის დანიშნულებაა გარემოს ტემპერატურაზე დაბალი ტემპერატურის მქონე გარემოს შექმნა
 - c. ყველა მათგანში ელექტროენერჯია გარდაიქმნება თბურ ენერჯიად
 - d. არაფერი აქვთ საერთო

126. მაცივარაგენტის რა მახასიათებლები განსაზღვრავს სამაცივრო სისტემის სრულ სიცივემწარმოებლურობას?
- a. აორთქლების კუთრი სითბო
 - b. კუთრი თბოტევადობა
 - c. სიმკვრივე
 - d. ყველა ჩამოთვლილი**

მომსახურების თანამედროვე პრაქტიკა

127. მაცივრის ძირითადი ელემენტებია:
- a. კომპრესორი და კონდენსატორი
 - b. საორთქლებელი და კონდენსატორი
 - c. საორთქლებელი და თ.მ.ვ.
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
128. უმარტივესი ორთქლის კომპრესიული მაცივარი-მანქანის მუშა ციკლი შედგება შემდეგი პროცესებისგან:
- a. აორთქლება და კონდენსაცია
 - b. შეკუმშვა და აორთქლება
 - c. შეკუმშვა და გაფართოვება
 - d. შეკუმშვა, კონდენსაცია, გაფართოვება და აორთქლება**
129. რა სახის სამაცივრო ზეთი გამოიყენება R134a-ზე მომუშავე სამაცივრო აგრეგატებში?
- a. პოლიეთერული (POE)**
 - b. მინერალური (MO)
 - c. მინერალური + ალკილბენზოლური (MA)
 - d. პოლიალფაოლფენური (PAO)

130. რომელი მათგანი არ არის თავსებადი მინერალურ ზეთთან?
- a. R12
 - b. R22
 - c. R134a**
 - d. R502
131. რომელი გაზით უნდა მოვახდინოთ სამაცივრო სისტემის გამომშრობა?
- a. აზოტით**
 - b. სისტემის შესაბამისი მაცივარაგენტით
 - c. ჟანგბადით
 - d. არცერთი ჩამოთვლილით
132. ტენისგან დაბინძურებული სისტემის გასუფთავებისათვის საჭიროა:
- a. სისტემის გათბობა
 - b. სულ მცირე 0.03 ბარი ვაკუუმის შექმნა
 - c. 24 საათით ვაკუუმის შენარჩუნება
 - d. გრემოს ტემპერატურაზე ტენის აორთქლებისათვის საკმარისი ვაკუუმის შექმნა**
133. რომელი კომპონენტი აქვთ საერთო კომპრესიულ და აბსორბციულ სამაცივრო სისტემებს?
- a. საორთქლებელი**
 - b. აბსორბერი
 - c. კომპრესორი
 - d. გენერატორი

134. რას უდრის რეციკლირებისათვის განკუთვნილ მაცივარაგენტში შერეული სხვა მაცივარაგენტის დასაშვები რაოდენობა?
- a. წონის 0.2%
 - b. წონის 2%**
 - c. წონის 5%
 - d. წონის 10%
135. რას უდრის მრავალჯერადი ბალონის მაცივარაგენტით უსაფრთხო შევსების ნორმა?
- a. 60%
 - b. 75%
 - c. 80%**
 - d. 100%
136. კომპრესიულ სამაცივრო სისტემაში მაცივარაგენტის გადამეტხურებას ადგილი აქვს:
- a. კომპრესორის შემდეგ
 - b. კონდენსატორის შემდეგ
 - c. კაპილარული მილის შემდეგ
 - d. საორთქლებლის შემდეგ**
137. სად მდებარეობს მაცივარაგენტის წნევის დამგდები მოწყობილობა (თ.მ.ვ. ან კაპილარული მილი)?
- a. საორთქლებლის შემდეგ
 - b. საორთქლებლის წინ**
 - c. კომპრესორის შემდეგ
 - d. კონდენსატორის წინ

138. ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედებაა "მაცივარაგენტის შეგროვება"?
- a. მაცივარაგენტის სისტემიდან ამოღება შენახვისათვის და შემდგომი გამოყენებისათვის
 - b. მაცივარაგენტის ატმოსფეროში გაშვება
 - c. მაცივარაგენტის დაყვანა პირვანდელ სახემდე
 - d. მაცივარაგენტის მყარი ნაწილაკებისგან, ტენისგან, მჟავებისგან და ზეთისგან გასუფთავება
139. ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედებაა "მაცივარაგენტის რეციკლირება"?
- a. მაცივარაგენტის სისტემიდან ამოღება შენახვისათვის და შემდგომი გამოყენებისათვის
 - b. მაცივარაგენტის ატმოსფეროში გაშვება
 - c. მაცივარაგენტის დაყვანა პირვანდელ სახემდე
 - d. მაცივარაგენტის მყარი ნაწილაკებისგან, ტენისგან, მჟავებისგან და ზეთისგან გასუფთავება
140. ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედებაა "მაცივარაგენტის აღდგენა"?
- a. მაცივარაგენტის სისტემიდან ამოღება შენახვისათვის და შემდგომი გამოყენებისათვის
 - b. მაცივარაგენტის ატმოსფეროში გაშვება
 - c. მაცივარაგენტის დაყვანა პირვანდელ სახემდე
 - d. მაცივარაგენტის მყარი ნაწილაკებისგან, ტენისგან, მჟავებისგან და ზეთისგან გასუფთავება
141. რომელი ქმედებაა დაუშვებელი?
- a. მაცივარაგენტის სისტემიდან ამოღება შენახვისათვის და შემდგომი გამოყენებისათვის
 - b. მაცივარაგენტის ატმოსფეროში გაშვება
 - c. მაცივარაგენტის დაყვანა პირვანდელ სახემდე
 - d. მაცივარაგენტის მყარი ნაწილაკებისგან, ტენისგან, მჟავებისგან და ზეთისგან გასუფთავება

142. რას ნიშნავს "უბრალო შეცვლა" ("დროპ-ინი")?
- a. სისტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება ზეთი კომპრესორში, თ.მ.ვ. და ფილტრი
 - b. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება კომპრესორი
 - c. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება საორთქლებელი და კონდენსატორი
 - d. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც სისტემაში მაცივარაგენტის მეტი არაფერი იცვლება**
143. რას ნიშნავს "რეტროფიტი"?
- a. სისტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება ზეთი კომპრესორში, თ.მ.ვ. და ფილტრი**
 - b. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება კომპრესორი
 - c. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება საორთქლებელი და კონდენსატორი
 - d. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც სისტემაში მაცივარაგენტის მეტი არაფერი იცვლება
144. რას ნიშნავს "გადაიარაღება"?
- a. სისტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება ზეთი კომპრესორში, თ.მ.ვ. და ფილტრი
 - b. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება კომპრესორი**
 - c. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც იცვლება საორთქლებელი და კონდენსატორი
 - d. სიტემის გადაყვანა ალტერნატიულ მაცივარაგენტზე, როდესაც სისტემაში მაცივარაგენტის მეტი არაფერი იცვლება

145. სისტემაში მაცივარაგენტის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს:
- a. საორთქლებლის არასრული გაცივება
 - b. ბუშტუკები სათვალთვალ მინაში
 - c. სიცივემწარმოებლურობის შემცირება
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
146. საორთქლებლის ვენტილიატორის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს:
- a. დუღილის ტემპერატურის შემცირება
 - b. საორთქლებლის არასრული გაცივება
 - c. თხევადი მაცივარაგენტის კომპრესორში მოხვედრა**
 - d. ყველა ჩამოთვლილი
147. სამაცივრო სისტემის თბოიზოლაციის დანიშნულებაა:
- a. სითბოს კარგი გატარება
 - b. რაც შეიძლება ნაკლები სითბოს გატარება**
 - c. სითბოს აკუმულირება
 - d. სითბოს არინება
148. თბური ტუმბო არის მოწყობილობა, რომლის მეშვეობითაც:
- a. გარე ჰაერის სითბო მიეწოდება სათავსოს შიგა ჰაერს**
 - b. ითბოს ნაკადი იცვლის მიმართულებას
 - c. მაცივარაგენტის ნაკადი იცვლის მიმართულებას
 - d. თბილი წყალი გადადის ერთი ჭურჭლიდან მეორეში

149. რა ფუნქციას ასრულებს თ.მ.ვ. სამაცივრო სისტემაში?
- a. მაცივარაგენტის დონის მაჩვენებლის
 - b. ჟონვის დეტექტორის
 - c. ზეთის მაჩვენებლის
 - d. საორთქლებლის დაბალი წნევის თხევადი მაცივარაგენტით შევსების რეგულირების საშუალებას**
150. კონდესატორის წიბოების გაჭუჭყიანება იწვევს:
- a. წნევათა სხვაობის ზრდას
 - b. სიცივემწარმოებლობის დაქვეითებას
 - c. მაღალი წნევის მხარეს მიღების გახურებას
 - d. ყველა ჩამოთვლილს**
151. სისტემაში გამომშრობი ფილტრის გაჭუჭყიანების ნიშანია:
- a. წნევათა სხვაობის შემცირება
 - b. გამომშრობი ფილტრის გაცივება**
 - c. სიცივემწარმოებლობის ზრდა
 - d. ყველა ჩამოთვლილი
152. მაღალი წნევის რელეს მიერ კომპრესორის გათიშვა შეიძლება გამოიწვიოს:
- a. კონდესატორის ვენტილატორის დაზიანებამ
 - b. გამომშრობი ფილტრის გაჭუჭყიანებამ
 - c. მაღალი წნევის რელეს მწყობრიდან გამოსვლამ
 - d. ყველა ჩამოთვლილმა**

153. რა მასალის მიღები გამოიყენება ამიაკის სამაცივრო სისტემებში?
- a. ნაჭედი რკინა ან სხმული ფოლადი**
- b. ალუმინი
- c. სპილენძი
- d. თითბერი
154. რა აირი გამოიყენება სამაცივრო სისტემის ჰერმეტიკობის შესამოწმებლად, ვიდრე ის შეივსება მაცივარაგენტით?
- a. მშრალი ჟანგბადი
- b. მშრალი ნახშირორჟანგი
- c. მშრალი წყალბადი
- d. მშრალი აზოტი**
155. დაბალი წნევის რელე თიშავს კომპრესორს, როდესაც:
- a. შეწოვის წნევა ეცემა დასაშვებ სიდიდეზე დაბლა**
- b. დაჭირხვნის წნევა ეცემა დასაშვებ სიდიდეზე დაბლა
- c. შეწოვის ან დაჭირხვნის წნევა ეცემა დასაშვებ სიდიდეზე დაბლა
- d. შეწოვის ან დაჭირხვნის წნევა იზრდება დასაშვებ სიდიდეზე მაღლა
156. სამაცივრო სისტემის მაღალ და დაბალ მხარეს შორის წნევათა სხვაობას კომპრესორთან ერთად უზრუნველყოფს:
- a. სოლენოიდური ვენტილი
- b. თ.მ.ვ.**
- c. გამომშრობი ფილტრი
- d. ცხელი გაზის მაყუჩი

157. შეწოვის ხაზში მაქსიმალურად დასაშვები რეკომენდირებული სიჩქარეა:
- a. 20მ/წ
 - b. 15მ/წ
 - c. 10მ/წ
 - d. 5მ/წ
158. მაცივარაგენტის ორთქლის არსებობა ძალიან არასასურველია:
- a. კომპრესორის შესასვლელში
 - b. კონდენსატორის შესასვლელში
 - c. თ.მ.ვ.-ს შესასვლელში
 - d. არცერთში ჩამოთვლილთაგან
159. ჩამოთვლილთაგან რომელმა მაცივარაგენტმა შეიძლება შეცვალოს R22 "უბრალო შეცვლით" (დროპ-ინით):
- a. R417A
 - b. R410A
 - c. R404A
 - d. R407C
160. ხახუნზე მინიმალური დანაკარგებისათვის კონდიციონერის არხულ სისტემაში ჰაერის სიჩქარე არხში უნდა იყოს:
- a. მაღალი
 - b. საშუალო
 - c. გონივრულად დაბალი
 - d. ძალიან დაბალი

161. გათბობის რეჟიმში სპლიტ-კონდიციონერის გარე ბლოკი არის:
- a. კონდენსატორი
 - b. საორთქლებელი**
 - c. ან კონდენსატორი, ან საორთქლებელი
 - d. ჰაერის გამათბობელი
162. დაკეტილი თ.მ.ვ.-ს ან გაჭედული კაპილარული მილის შედეგია:
- a. შეწოვის წნევის მკვეთრი დაცემა
 - b. გამორთულ სამაცივრო სისტემაში წნევათა სხვაობის დიდი ხნით შენარჩუნება
 - c. დაჭირხვნის წნევის მკვეთრი ზრდა
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
163. თ.მ.ვ.-ს მგრძობიარე ელემენტის არასწორმა მონტაჟმა ან ცუდმა კონტაქტმა მილთან შეიძლება გამოიწვიოს:
- a. თხევადი მაცივარაგენტის მოხვედრა კომპრესორში**
 - b. შეწოვის წნევის მკვეთრი დაცემა
 - c. კონდენსაციის ტემპერატურის გაზრდა
 - d. ყველა ჩამოთვლილი
164. დღუშიანი კომპრესორის სარქველების დაზიანების ნიშანია:
- a. დაჭირხვნის წნევის მკვეთრი ზრდა
 - b. დუდილის ტემპერატურის დაწევა
 - c. წნევათა შორის სხვაობის სიმცირე ან არარსებობა**
 - d. ყველა ჩამოთვლილი

165. ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება უნდა შეასრულოს ტექნიკოსმა სამაცივო მოწყობილობის, ჰაერის კონდიციონერის ან თბური ტუმბოს მომსახურების დროს?
- გამოიყენოს დამცავი ხელთათმანები მაცივარაგენტის შეგროვების ან გადატუმბვის დროს
 - გამორთოს მოწყობილობა ელექტროქსელიდან სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე
 - ამოიღოს მაცივარაგენტი სისტემიდან სისტემის გახსნამდე
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
166. ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება არ უნდა შეასრულოს ტექნიკოსმა სამაცივო მოწყობილობის, ჰაერის კონდიციონერის ან თბური ტუმბოს მომსახურების დროს?
- დაცალოს მაცივარაგენტისგან დრეკადი მილები მათ ჩახსნამდე
 - b. შეავსოს მაცივარაგენტით სამაცივრო სისტემა, რომელსაც დარღვეული აქვს ჰერმეტიკულობა**
 - გამოიყენოს მშრალი აზოტი სისტემის გასაქრევად და წნევაზე შესამოწმებლად
 - გამოიყენოს ელექტრონული ჟონვის დეტექტორი მაცივარაგენტის ჟონვის ადგილის დასადგენად
167. ლითიუმის ბრომიდის აბსორბციულ სამაცივრო სისტემაში: _
- a. ლითიუმის ბრომიდი არის აბსორბენტი და წყალი -მაცივარაგენტი**
 - ლითიუმის ბრომიდი არის მაცივარაგენტი და წყალი - აბსორბენტი
 - ლითიუმის ბრომიდი არის მაცივარაგენტი და ამიაკი -აბსორბენტი
 - ლითიუმის ბრომიდი არის აბსორბენტი და ამიაკი -მაცივარაგენტი
168. ამიაკის აბსორბციულ სამაცივრო სისტემაში:
- ლითიუმის ბრომიდი არის მაცივარაგენტი და ამიაკი აბსორბენტი
 - ლითიუმის ბრომიდი არის აბსორბენტი და ამიაკი მაცივარაგენტი
 - c. ამიაკი არის მაცივარაგენტი და წყალი აბსორბენტი**
 - ამიაკი არის აბსორბენტი და წყალი მაცივარაგენტი

169. სამაცივრო სისტემაში მაცივარაგენტის ნაკადი რეგულირდება:
- a. არაინვენტორული კომპრესორით
 - b. კონდენსატორით
 - c. საორთქლებლით
 - d. თერმომარეგულირებელი ვენტილით**
170. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი გამოიყენება აბსორბციულ სამაცივრო სისტემაში?
- a. R22
 - b. R717**
 - c. R410A
 - d. R744
171. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი გამოიყენება საოჯახო მაცივრებში?
- a. R744
 - b. R22
 - c. R600a**
 - d. ყველა ჩამოთვლილი
172. აბსორბციულ საოჯახო მაცივარში გამოყენებული მუშა ნივთიერებებია:
- a. ამიაკი და წყალბადი
 - b. ამიაკი და წყალი
 - c. ამიაკი, წყალი და წყალბადი**
 - d. წყალი და წყალბადი
173. ჩამოთვლილთაგან რომელი გამაფართოვებელი მოწყობილობა გამოიყენება ზამთარი-ზაფხული ტიპის სპლიტ-კონდიციონერში?
- a. თ.მ.ვ.
 - b. კაპილარული მილი**

- c. ელექტროგამაფართოვებელი ვენტილი
- d. დეტანდერი

174. როტაციული კომპრესორები გამოიყენება, როდესაც მოთხოვნილია მაცივარაგენტის:

- a. დიდი მიწოდება და მაღალი კონდენსაციის წნევა
- b. მცირე მიწოდება და მაღალი კონდენსაციის წნევა
- c. მცირე მიწოდება და დაბალი კონდენსაციის წნევა
- d. დიდი მიწოდება და დაბალი კონდენსაციის წნევა**

175. ტემპერატურის სხვაობა საორთქლებელში დუდილის ტემპერატურასა და გასაცივებელ გარემოს ტემპერატურას შორის უნდა იყოს:

- a. 25C და მეტი
- b. რაც შეიძლება ნაკლები (3C-დან 10C-მდე)**
- c. 0 C
- d. არცერთი ჩამოთვლილი

176. შეწოვის მილის კვეთი:

- a. მეტია დაჭირხვნის მილის კვეთზე**
- b. ტოლია დაჭირხვნის მილის კვეთის
- c. ნაკლებია დაჭირხვნის მილის კვეთზე
- d. მეტია ან ნაკლები სამაცივრო სისტემის სიცივემწარმოებლურობის მიხედვით

177. მაცივარაგენტში არსებული ტენი მოქმედებს:

- a. კომპრესორზე
- b. კონდენსატორზე
- c. კაპილარულ მილზე**
- d. საორთქლებელზე

178. სამაცივრო სისტემის რომელ კომპონენტში ხდება თხევადი მაცივარაგენტის გადამეტცივება?
- a. კონდენსატორში
 - b. კომპრესორში
 - c. საორთქლებელში
 - d. კაპილარულ მილში
179. ჩამოთვლილთაგან რომელ მოწყობილობაში გამოიყენება კაპილარული მილი?
- a. საყოფაცხოვრებო მაცივარში
 - b. ფანჯრის ჰაერის კონდიციონერში
 - c. წყლის გამაგრილებელში
 - d. ყველა ჩამოთვლილში
180. თუ საჭიროა, სამაცივრო სისტემაში სითხის რესივერი ჩართულია:
- a. კომპრესორის შემდეგ
 - b. თ.მ.ვ.-ს შემდეგ
 - c. კონდსატორის შემდეგ
 - d. საორთქლებლის შემდეგ
181. ჩამოთვლილთაგან რომელი მაცივარაგენტი გამოიყენება თვითმფრინავის სამაცივრო მოწყობილობებში?
- a. R22
 - b. R410A
 - c. R744
 - d. R729

182. ჩამოთვლილთაგან ASHRAE-ს რომელი საერთაშორისო აღნიშვნა შეესაბამება ნახშირორჟანგს როგორც მაცივარაგენტს?
- a. R729
 - b. R744**
 - c. R717
 - d. R718
183. ჩამოთვლილთაგან ASHRAE-ს რომელი საერთაშორისო აღნიშვნა შეესაბამება წყალს როგორც მაცივარაგენტს?
- a. R718**
 - b. R744
 - c. R717
 - d. R729
184. ჩამოთვლილთაგან ASHRAE-ს რომელი საერთაშორისო აღნიშვნა შეესაბამება ამიაკს როგორც მაცივარაგენტს?
- a. R718
 - b. R744
 - c. R717**
 - d. R729
185. ჩამოთვლილთაგან ASHRAE-ს რომელი საერთაშორისო აღნიშვნა შეესაბამება ჰაერს როგორც მაცივარაგენტს?
- a. R718
 - b. R744
 - c. R717
 - d. R729**

186. თოვლის ქურქი საორთქლებელში:
- a. უმჯობესებს თბოცვლას
 - b. ზრდის ენერჯის მოხმარებას**
 - c. ზრდის სამაცივრო კოეფიციენტს
 - d. ამცირებს ენერჯის მოხმარებას
187. თუ კონდენსაციის წნევა ძალიან გაიზარდა, მიზეზი შეიძლება იყოს:
- a. გამაცივებელი წყლის მიწოდების შეფერხება
 - b. კონდენსატორის წიბოების გაჭუჭყიანება
 - c. სისტემაში არაკონდენსირებადი გაზის (ჰაერის ან აზოტის) არსებობა
 - d. ყველა ჩამოთვლილი**
188. თუ საჭიროა, სამაცივრო სისტემაში სითხის გამომყოფი ჩართულია:
- a. კომპრესორის წინ**
 - b. თ.მ.ვ.-ს წინ
 - c. კონდენსატორის წინ
 - d. საორთქლებლის წინ
189. კომპრესორში ჰიდრაულიკური დარტყმის მიზეზი შეიძლება იყოს:
- a. თოვლის ქურქი საორთქლებელში
 - b. არასწორად შერჩეული თ.მ.ვ.
 - c. მაცივარაგენტის სიჭარბე სისტემაში
 - d. ყველა ჩამოთვლილი**

190. რა შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მაცივარაგენტის კონტეინერი მიერთებული სისტემის მაღალი წნევის მხარეს?
- a. როდესაც სისტემაში იტვირთება ერთკომპონენტიანი მაცივარაგენტი
 - b. როდესაც სისტემაში იტვირთება ზეოტროპული ნარევი
 - c. როდესაც წნევა სისტემაში კონტეინერში მოთავსებული მაცივარაგენტის წნევაზე მაღალია**
 - d. როდესაც სისტემაში იტვირთება აზეოტროპული ნარევი
191. რა შემთხვევაში არის აუცილებელი, რომ მაცივარაგენტი ჩაიტვირთოს სისტემაში სითხის სახით?
- a. როდესაც სისტემაში იტვირთება ერთკომპონენტიანი მაცივარაგენტი
 - b. როდესაც სისტემაში იტვირთება ზეოტროპული ნარევი**
 - c. როდესაც სისტემაში იტვირთება ბუნებრივი მაცივარაგენტი
 - d. როდესაც სისტემაში იტვირთება აზეოტროპული ნარევი
192. რა შემთხვევაში შეიძლება ჩაიტვირთოს თხევადი მაცივარაგენტი სამაცივრო სისტემაში მისივე კომპრესორის მეშვეობით?
- a. როდესაც სისტემა აღჭურვილია სითხის გამომყოფით**
 - b. როდესაც სისტემაში იტვირთება ზეოტროპული ნარევი
 - c. როდესაც სისტემა შეიცავს ხაზურ რესივერს
 - d. როდესაც სისტემაში იტვირთება აზეოტროპული ნარევი
193. რა შემთხვევაში შეიძლება ზეოტროპული ნარევის დამატება სამაცივრო სისტემაში?
- a. თუ გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობა არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს
 - b. თუ გაჟონილი მაცივარაგენტის რაოდენობა არ აღემატება საერთო რაოდენობის 25%-ს
 - c. თუ გაჟონვა მოხდა სამაცივრო სისტემის დაბალი წნევის მხარეს
 - d. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იდენტიფიკატორით დადასტურდება, რომ გადახრა ნარევის კომპონენტების პროცენტულ შემადგენლობაში დასაშვებ ფარგლებშია**

194. რა განსხვავებაა მაცივარაგენტის სტაციონარულ დეტექტორსა და ჟონვის დეტექტორს შორის?
- სტაციონარული დეტექტორის მგრძობიარობა მეტია
 - სტაციონარული დეტექტორი განასხვავებს მეტი სახის მაცივარაგენტს
 - სტაციონარული დეტექტორი ვერ ადგენს გაჟონვის ადგილს
 - არავითარი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რომ ერთი სტაციონარულად მაგრდება და მეორე პორტაბელურია
195. საორთქლებლის გასაცემელი წყლის ჩაყინვით გამოწვეული დაზიანების მთავარი მიზეზია:
- დუღილის ტემპერატურის შემცირება
 - სამაცივრო სისტემაზე თბური დატვირთვის შემცირება
 - ნაკადის რელეს დაზიანება
 - თ.მ.ვ.-ს დაზიანება
196. რა განსხვავებაა ჰაერის კონდიციონერის სამაცივრო კოეფიციენტსა და ენერგოეფექტურობის კოეფიციენტს შორის?
- ერთმანეთის შებრუნებული კოეფიციენტებია
 - პირველი წარმოადგენს მიღებული სიცივის შეფარდებას კომპრესორში შეკუმშვაზე დახარჯულ ენერგიასთან, მეორე - მიღებული სიცივის შეფარდებას ენერგოდანახარჯების სრულ რაოდენობასთან
 - პირველი არის გაგრილების ეფექტურობის მაჩვენებელი, მეორე - გათბობის ეფექტურობის
 - ჰაერის კონდიციონერის შემთხვევაში ეს კოეფიციენტები ტოლია
197. რას უდრის მაცივარაგენტის ფარდობითი დანაკარგის დასაშვები ნორმა?
- ნორმალურად მომუშავე სამაცივრო სისტემიდან მაცივარაგენტის გაჟონვას ადგილი არა აქვს
 - 10%
 - 25%
 - 40%

198. როგორ მოქმედებს ადამიანზე სათავსოს ჰაერში ჟანგბადის შემცველობის 15%-მდე შემცირება?
- დაზარალებული კარგავს გონებას
 - დაზარალებულს ემართება კრუნჩხვა
 - იწვევს ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებას, რომელიც შეუმჩნეველია დაზარალებულისათვის
 - არ მოქმედებს ჯანმრთელ ადამიანზე
199. სათავსოში ჟანგბადის უკმარისობით დაზარალებულის პირველი დახმარება ითვალისწინებს:
- დაზარალებულის სასწრაფო გაყვანას სუფთა ჰაერზე
 - სათავსოში არსებული გაზით დაბინძურებული ტანსაცმლის გახდას
 - დაზარალებულის მოთავსებას მშვიდ და თბილ გარემოში
 - ყველა ჩამოთვლილს
200. როგორ მოქმედებს ადამიანზე სათავსოს ჰაერში 0.04%-0.07% ამიაკის არსებობა?
- იწვევს სასუნთქი გზების სპაზმს
 - იწვევს თვალის, ცხვირის, ყელის და სასუნთქი გზების დაუყოვნებლივ გაღიზიანებას
 - იგრძნობა დამახასიათებელი სუნი, რომელიც შეიძლება იყოს გამაღიზიანებელი
 - არ მოქმედებს ჯანმრთელ ადამიანზე
201. როგორ მოქმედებს ადამიანზე სათავსოს ჰაერში 2% ნახშირორჟანგის არსებობა?
- გრძნობის სწრაფი დაკარგვა და კრუნჩხვა
 - იწვევს სასუნთქი გზების სპაზმს
 - შეიძლება იმოქმედოს სუნთქვით ფუნქციაზე და გამოიწვიოს ალგუნება ცენტრალური ნერვული სისტემის შემდგომი დეპრესიით. იზრდება სუნთქვის სიხშირე
 - არ მოქმედებს ადამიანზე

202. რატომ უნდა შეიცვალოს პოლიეთერული ზეთი კომპრესორში, თუ სამაცივრო სისტემა ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო არაჰერმეტიკული?
- a. იმიტომ, რომ პოლიეთერული ზეთი არის ძალიან ჰიგროსკოპული და ჰაერიდან იღებს ტენს**
- b. იმიტომ, რომ მასში კომპრესორის მუშაობის დროს გროვდება ლითონის ნაფხვენები
- c. რადგან პოლიეთერულ ზეთს შეიძლება გასული ჰქონდეს ვარგისიანობის ვადა
- d. რადგან ასე წერია შესაბამის სტანდარტში
203. სისტემიდან მაცივარაგენტის გაჟონვის მიზეზი შეიძლება იყოს:
- a. ვიბრაცია
- b. კოროზია
- c. არასწორად შერჩეული მასალები
- d. ყველა ჩამოთვლილი**
204. სამაცივრო სისტემის გამოყენების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია:
- a. ტექნოლოგიურობა
- b. უსაფრთხოება
- c. ღირებულება
- d. ყველა ჩამოთვლილი**
205. რა დანიშნულება აქვს სამაცივრო სისტემაში სოლენოიდურ ვენტილს?
- a. ამცირებს მაცივარაგენტის წნევას
- b. ელექტრულად კეტავს ან ხსნის სისტემის რომელიმე ნაწილს**
- c. მართავს კომპრესორის ჩართვა-გამორთვას
- d. უზრუნველყოფს სისტემის ავარიულ გამორთვას
206. რა დანიშნულება აქვს სამაცივრო სისტემაში წნევის რელეს?
- a. ამცირებს მაცივარაგენტის წნევას
- b. ელექტრულად კეტავს ან ხსნის სისტემის რომელიმე ნაწილს
- c. იცავს სისტემას ავარულ რეჟიმში მუშაობისგან**
- d. უზრუნველყოფს სისტემის ეფექტურობას